



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №226/04

2018 წლის 12 ოქტომბერს ეროვნული ბანკის ბრძანებით №226/04 დამტკიცდა კომპანიების აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის წესი. მისი მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამჭვირვალობისა და სანდოობის ხარისხის ამაღლება, არსებული და პოტენციური ინვესტორების ინტერესების დაცვა და მათ მიერ მაქსიმალურად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა.

იმისათვის, რომ კომპანიებმა შეძლონ საკუთარი აქციების ან ობლიგაციების შეთავაზება ინვესტორთა ფართო წრისათვის, მოახდინონ ე.წ. საჯარო შეთავაზება, მათ უნდა შეადგინონ ემისიის პროსპექტი, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდება. დამტკიცების შემდეგ, კომპანიებმა აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ. ემისიის პროსპექტში აღწერილია კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სამომავლო გეგმები, ინფორმაცია მიმდინარე და წინა პერიოდების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შესათავაზებელი აქციების ან/და ობლიგაციების მახასიათებლები. პროსპექტში ასევე აღწერილია კომპანიის ინდუსტრიასთან, მის საქმიანობასთან და შესათავაზებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები და კომპანიის ხედვა/მიდგომა ამ რისკების მართვის კუთხით.

აღნიშნული დოკუმენტი ინვესტორებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული და გონივრული გადაწყვეტილება კომპანიის მიერ შეთავაზებული ფინანსური ინსტრუმენტების ინვესტიციასთან დაკავშირებით.

ბრძანება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2018 წლის 5 ოქტომბრის ცვლილებით, საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულების პროექტი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულების პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება და მსესხებელთა დაცვა ჭარბვალიანობით გამოწვეული რისკებისაგან.

დებულების მიხედვით, სესხის გაცემა სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ იკრძალება ფიზიკურ პირზე გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე.

თუმცა, იპოთეკური სესხის გაცემა შესაძლებელია წინასწარი გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, თუ მსესხებელს საკუთრებაში გააჩნია ერთზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება.

იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის - 10 წელი, სატრანსპორტო სესხის - 6 წელი, სხვა დანარჩენი სესხებისთვის - 4 წელი.

ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე გასაცემ სესხებზე, როდესაც მსესხებლის ჯამური ვალდებულებები სესხის გამცემი ორგანიზაციების წინაშე აღემატება 2,000,000 ლარს, ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში.

2018 წლის 1 ნოემბრის ნაცვლად, დებულების ძალაში შესვლის თარიღი რამდენიმე დღით გადაიწია, საფინანსო ორგანიზაციების მიერ შიდა პროცესების რეგულირების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.